

წვრილფრაქციური ნახშირის გამამდიდრებელი უბნის მშენებლობა ტყიბულის ქარხანაში

საქნახშირმა დაიწყო წვრილფრაქციური ნახშირის გამამდიდრებელი უბნის მშენებლობა ქ. ტყიბულში მდებარე არსებული ნახშირის გამამდიდრებელ ქარხანაში. აღნიშნული პროექტის დასრულებისას, რომელიც 3 თვეში იგეგმება, გამამდიდრებული ნახშირის საერთო დღიური რაოდენობა დაახლოებით 100 ტონით გაიზრდება.

პროექტი დამუშავდა თურქულ კომპანია CWP-ის მიერ, ხოლო ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 550,000 აშშ დოლარს.

1.06.2012

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მალაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

